ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 284

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა №8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქირიძისთვის (პ/ნ. 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა №8-ის მიმდებარედ, 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქირიძისთვის (პ/ნ 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №25.820.918 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა №8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქირიძისთვის (პ/ნ. 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე